საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნაძე რამაზ გრიგოლის ძე



რ. კიკნაძე. ცენტრალური სპორტული საწყლოსნო კომპლექსი ("ლაგუნა ვერე"), 1978 (ავტორთა ჯგუფთან ერთად), თბილისი.

კიკნაძე რამაზ გრიგოლის ძე (19. II. 1937, თბილისი, – 7. I. 1975, იქვე), არქიტექტორი. დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1961). 1961–73 მუშაობდა „თბილქალაქპროექტში“, ხოლო 1973-იდან „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად. ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – ქორწინების სახლი, (1964); მეტრო „ოქტომბრის“ (ახლანდ. „ნაძალადევი“) მიწისზედა ნაგებობა და ქვედა ვესტიბიული (1966); რესტორანი „მარაბდა“ (1971);ვაჟა-ფშაველას ძეგლი (1973); რესპ. ცენტრ. ავტოვაგზალი (1973); ახალგაზრდა მეცნიერთა კაფე-კლუბი (1974, დაგეგმარება და ინტერიერები; საქ. სსრ ლენინური კომკავშირის პრემია, 1975); ცენტრ. სპორტული საწყლოსნო კომპლექსი (1978); დასასვენებელი სახლი „მზიური“ გაგრაში (1979; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1980). ყველა აღნიშნული ნამუშევარი შესრულებულია საავტორო ჯგუფთან ერთად. კ. საერთაშ. სავაჭრო-სამრეწვ. გამოფენების დროს მონაწილეობას ღებულობდა საქართვ. პავილიონების გაფორმებაში პარიზში (1970), ბაზელში (1971), კაიროში (1972), დას. ბერლინში (1972), პლოვდივში (1973), ლიონში (1974).

თ. გერსამია